



ფრინველის გრიპი და მისი თავიდან აცილების ღონისძიებები

(ინფორმაცია უფროსკლასელთათვის)

ფრინველის გრიპი გადამდები ვირუსული დაავადებაა, რომელიც შესაძლოა გავრცელდეს დაავადებულ ფრინველებთან უშუალო კონტაქტით.

საქართველოს მეზობელ ქვეყნებში დაავადების შემთხვევები აღინიშნება როგორც ფრინველებში, ასევე ადამიანებში. ადამიანს დაავადება ეწყება ვირუსის ორგანიზმში შეჭრიდან 2-4 დღეში. დაავადებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნებია: ცხელება, ხველა, ყელის ტკივილი, კუნთებში ტეხვის შეგრძნება, თვალის ლორწოვანი გარსის ანთება და სხვა.

ფრინველის გრიპის გავრცელებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას თქვენს ჯანმრთელობას, მაგრამ თუ თითოეული ჩვენთაგანი დაიცავს ქვემოთჩამოთვლილ წესებს, შესაძლებელი იქნება დაავადების თავიდან აცილება.

ფრინველის გრიპით დაავადების თავიდან აცილებისათვის:

რა არ უნდა გააკეთოთ:

1. მოერიდეთ საეჭვო გარეულ და შინაურ ფრინველებთან უშუალო კონტაქტს (ხელით შეხება, მოვლა, გალიის გაწმენდა, პარაზიტების მოცილება, ფიტულების დამზადება, ბუმბულის შეკრეჭა, შეგროვება და სხვ.) ნიღბისა და ხელთათმანების გარეშე.
2. არ შეეხოთ დაავადებულ ან დაცემულ ფრინველს და მათ გამონაყოფებს ნიღბისა და ხელთათმანის გარეშე და სასწრაფოდ მიმართეთ უფროსებს.
3. დაუშვებელია გარეულ ფრინველებზე ნადირობა, ფრინველთა ბუდეების დათვალიერება, გარეული ფრინველის კვერცხების შეგროვება და საკვებად გამოყენება.
4. დაუშვებელია დაავადებაზე საეჭვო ან დაცემულ ფრინველთან თამაში ან მისი გამოყენება საკვებად.
5. წყალგაუმტარი ხელთათმანის გარეშე მოერიდეთ ნებისმიერი ფრინველის ხორციდან (იქნება ეს ახალდაკლული თუ გაყინული) შეხებას.
6. არ შეიძლება სხეულის დაუცველი ნაწილების (ცხვირი, პირი, ჭრილობა და ა.შ) დაბინძურება სისხლით, უმი ხორცის ნაწილებით ან გამონაყოფებით.
7. საკვებად გამოიყენეთ მხოლოდ მაღალ ტემპერატურაზე დამუშავებული (არანაკლებ 70 გრადუსზე) - კარგად შემწვარი ან მოხარშული ხორცი და კვერცხი;
8. მოერიდეთ უმი ან არასაკმარისად შემწვარი ან მოხარშული კვერცხის მიღებას (“გოგლი-მოგლი”, კვერცხი უმად ან თოლხოდ, ნამცხვრის შეუწვავი ნაწილები – “ბეზე” და ა.შ.).
9. დაავადებულ ფრინველებთან ან მათ გამონაყოფებთან უნებლიე კონტაქტის შემთხვევაში საგულდაგულოდ დაიბანეთ ხელები (საპნით) და მიმართეთ უფროსებს

- გახსოვდეთ, რომ ინფექცია ადვილად გადადის ჭუჭყიანი ხელებით, ამიტომ ხშირად დაიბანეთ ხელები საპნით;

- საკვებად გამოიყენეთ მხოლოდ კარგად შემწვარი და მოხარშული ფრინველის ხორცი და კვერცხი;

- მიმართეთ ექიმს გაცივების ნიშნების გამოვლენისთანავე. არ იართოთ სასწავლო დაწესებულებაში სრულ გამოჯანმრთელებამდე;